

დამტკიცებულია:

„აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის“
გამგეობის 2016 წლის 10 ოქტომბრის სხდომის გადაწყვეტილებით

საგადასახადო კომიტეტის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1.1. საგადასახადო კომიტეტი წარმოადგენს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე შექმნილ სტრუქტურულ ერთეულს და განკუთვნილია ფედერაციის საწესდებო მიზნების შესრულების უზრუნველსაყოფად;

1.2. საგადასახადო კომიტეტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის“ წესდების და კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, აგრეთვე ამ დებულებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.

1.3. საგადასახადო კომიტეტი ანგარიშვალდებულია ფედერაციის გამგეობის წინაშე;

1.4. ეს დებულება არეგულირებს ფედერაციის საგადასახადო კომიტეტის სტრუქტურული მოწყობის და ფუნქციონირების საკითხებს;

2. დებულების განხილვა, დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, აგრეთვე მისი გაუქმება წარმოადგენს ფედერაციის გამგეობის კომპეტენციას;

მუხლი 2. საგადასახადო კომიტეტის მიზნები და ამოცანები

1. საგადასახადო კომიტეტის მიზანია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი სამართლებრივი ნორმების გამოყენებით დაინტერესებულ ფედერაციის წევრთათვის პრაქტიკული დახმარების გაწევა თეორიული სწავლების, კონსულტირების, განმარტებების მიცემის, აზრთა გაცვლა-გაზიარების, დისკუსიების და ა.შ ორგანიზების

გზით, აგრეთვე მათი კანონიერი პროფესიული ინტერესების დაცვის ღონისძიებათა ორგანიზება/განხორციელება;

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, საგადასახადო კომიტეტი ახორციელებს:

ა) ქმედებათა ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას;

ბ) გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზებას;

გ) ინოვაციური პროექტების შემუშავებას, დანერგვას;

დ) შესაბამის საკითხებზე ფედერაციის დაინტერესებულ წევრთა ინიციატივების, ასევე, პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრის გზების მექანიზმების შემუშავებას.

ე) ინფორმაციული და მეთოდური სახელმძღვანელოების, საცნობარო, განმარტებითი, სარეკომენდაციო და ა.შ., სხვადასხვა სახის მასალების შესწავლას, მომზადებას და გამოცემას, როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;

ვ) შესაბამისი მიმართულების საგანმანათლებლო/სასწავლო ცენტრებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პროექტებთან და აკადემიურ წრეებთან, ასევე სხვა ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას;

ზ) ბიზნესის სფეროს წამომადგენლებთან, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებთან/დაწესებულებებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებას, და ამ მიზნით სხვადასხვა სახის ფინანსური, ბიზნეს და საზოგადოებრივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში დახმარების გაწევას.

თ) საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის, ასევე სხვა შესაბამისი პროცესების ორგანიზებას;

3. დასახული მიზნის მისაღწევად საგადასახადო კომიტეტის სამოქმედო მიმართულებებია:

ა). გადამხდელთა წარმომადგენლობა საგადასახადო სფეროში ნორმატიულ სამართლებრივი ბაზის მომზადების პროცესში;

ბ). გადასახადის გადამხდელთა სამართლებრივი დაცვის მხარდაჭერა;

გ). სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის ორგანიზება დაბეგვრის საკითხების მომზადების დროს;

დ). სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სემინარების და ღონისძიებების მოწყობა და მონაწილეობა;

ე). ინფორმაციულ-საკონსულტაციო, სამეცნიერო - მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია;

ვ). სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობა გადასახადის გადამხდელთა დაცვის მიზნით;

ზ). მიზნობრივი პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი, ხარისხობრივი კონტროლის განხორციელება, მასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა, შეფასება და ანგარიშების მომზადება;

თ). ფედერაციის წევრებისთვის ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა.

მუხლი 3. საგადასახადო კომიტეტის მმართველობითი სტრუქტურა

1. საგადასახადო კომიტეტს (შემდგომ „კომიტეტი“) ხელმძღვანელობს გამგეობის გადაწყვეტილებით არჩეული გამგეობის წევრი, რომელიც ანგარიშვალდებულია გამგეობის სხდომის წინაშე;
2. კომიტეტის ხელმძღვანელი ადგენს წლიურ და კვარტალურ სამოქმედო გეგმას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის სხდომას. გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში განიხილება გამგეობის სხდომის მიერ.
3. ტრენერებთან, ექსპერტებთან, ინსტრუქტორებთან, კონსულტანტებთან და ტექნიკურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის მიერ. შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვრება მათი კონკრეტული ფუნქცია და შრომის ანაზღაურება.